ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **ზურაბ ბარძიმაძე**

თანამდებობის დასახელება - ფრაქციის ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია

- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

არჩევის წესი - (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - # 37.05 ახალციხის მაჟორიტარული ოლქი (სოფ. აწყური)

საანგარიშო პერიოდი- 2021 წლის 03.12 -დან 2022 წლის 01.11 მდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   03.12.2021 წ.-დან 01.11.2022წ.-დან საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 14

   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 13

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2021 – 2022 წელს:
   - საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 10, ესწრებოდა - 6 სხდომას;

   - საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 10, ესწრებოდა - 7 სხდომას.

მ/შ დროებითი კომისიები:

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3 სხდომა

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3 სხდომა

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები - 0.

5. ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - 0 დადგენილება. ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - 0 განკარგულება.
6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტების დამტკიცების შესახებ;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით განხორციელებული ცვლილებების შესახებ(რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი);
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განყოფილებისა და სოციალურ საკითხთა განყოფილებების მიერ 2022 წელში შესრულებული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა;
   - „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მარტის №-13.13220902 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 7

   მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე-ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე.

   შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 130 მოქალაქე.

   მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:
   - სოციალური პრობლემები;
   - სოფლებში აწყურში, თისელში, ტყემლანაში ითხოვენ გარე განათების ბოძების მოწყობას, სოფელ აწყურში სასმელი წყლის ქსელის მოწყობას და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელებას.
8. პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც გამოიკვეთა მოსახლეობასთან შეხვედრებზე, მივმართე შესაბამის კომპეტენტურ პიროვნებებს. ამ ეტაპზე ველით შემდგომ რეაგირებას.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა

- მონაწილეობას ვღებულობდი „საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ეხებოდა ნატო საქართველოს ურთიერთობებსა და არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობას.
- ვესწრებოდი სოფელ აწყურის საჯარო სკოლაში გამართულ ღონისძიებას, რომელიც ეძღვნებოდა სასკოლო მუზეუმის გახსნას სახელწოდებით ,,ჩემი სოფლის მუზეუმი".
- ასევე ვესწრებოდი, საკრებულოში ტერიტორიული რეზერვის შექმნის თაობაზე საინფორმაციო შეხვედრას.
- მონაწილეობას ვღებულობდი დასუფთავების აქციაში - „დავასუფთაოთ მსოფლიო''.

შევსების თარიღი --28.X.2022---

წარდგენის თარიღი --28.X.2022--

ხელის მოწერა ----------